საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 29 13/04/2017

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულ დასუფთავებისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი ერთეული თვითმცლელი ნაგავმზიდის თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ხარაგაულ დასუფთავებას“თხოვების ფორმით , არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი ერთეული თვითმცლელი ნაგავმზიდი:

1. თვითმცლელი ნაგავმზიდი, შასის ნომერი WDB97236210111908, საბალანსო ღირებულებით 230629.80 (ორასოცდაათიათასექვსასოცდაცხრა) ლარი და 80 თეთრი.

2. თვითმცლელი ნაგავმზიდი, შასის ნომერი WDB 97004210122333, საბალანსო ღირებულებით 192146.81 (ასოთხმოცდათორმეტიათასასორმოცდაექვსი) ლარი და 81 თეთრი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე